საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იმნაიშვილი ვახტანგ ივანეს ძე

იმნაიშვილი ვახტანგ ივანეს ძე (22. IX. 1939, ლანჩხუთი, – 24. I. 2017, თბილისი), ენათმეცნიერი, ტექსტოლოგი, ქართველოლოგიის ისტორიის მკვლევარი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1979).

1966 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. 1968-იდან ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას თსუ-ში ახ. ქართ. ენის კათედრაზე. 2006-იდან იყო თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკ-ტის ქართ. ფილოლ. მიმართულების ასოცირებული პროფესორი; ამავე წლიდან – საქართვ. განათ-ლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული ქართ. სალიტ. ენის ნორმათა საექსპერტო კომისიის წევრი.

ი-ის კვლევის სფერო იყო ძვ. და ახ. ქართული ენა, უცხოეთის სამეცნ. ცენტრებში დაცული უძველესი ქართ. ხელნაწერებისა და გამოჩენილ ქართვ. საზ. მოღვაწეთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ამ მიზნით შეისწავლა ავსტრიაში, გრაცის უნ-ტისა და ვენის ნაციონალური ბ-კების ძველი ქართ. ხელნაწერები და ავსტრ. მეცნიერის, ჰუგო შუხარდტის არქივის ქართული მასალები. გრაცში დამუშავებული მასალები (2000) საფუძვლად დაედო ნაშრომს „უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში" (2004), რ-საც იმავე წელს მიენი-ჭა ივ. ჯავახიშვილის სახ. საუნივერსიტეტო პრემია. ნაშრომს „ზმნა ძველ ქართულში" (ტ. 1–2, მაინის ფრანკფურტი, 1996) 1999 მიეკუთვნა ა. შანიძის სახ. პრემია. შვეიცარიაში იოლანდა მარშევთან ერთად გამოსაცემად მოამზადა ვრცელი „გერმანულ-ქართული ლექსიკონი", რ-იც გერმანიაში დაიბეჭდა (1999).

ი-ის შრომები იბეჭდებოდა საზღვარგარეთ (ავსტრია, ნიდერლანდი, გერმანია, ბელგია); კითხულობდა ლექციებს ქართ. ენისა და ლიტ-რის შესახებ ვენის, მაინის ფრანკფურტის,

ბერნისა და სხვ. უნ-ტებში. 1997–2006 ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწ. უნ-ტში კითხულობდა ქართ. ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის კურსს.

თხზ.: ათანასი ალექსანდრიელი, „ცხორებაჲ წმიდისა ანტონისი" (ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი), თბ., 1970; „მამათა ცხოვრებანი" (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), თბ., 1975; სინას მთიდან გრაცამდის (გრაცის ქართული ხელნაწერების ისტორია), თბ., 2001; „არდავიწყება მოყვრისა..." (ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ეპისტოლური მემკვიდრეობიდან), თბ., 2006.